ოქმი:**ო03. 3726138001**

თარიღი:**18/05/2026**

ოქმი № 6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2026 წელი, 18 მაისი

ქ.ოზურგეთი

12:00-13:00 - საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. გოლიაძე, გ. მდინარაძე, დ. ასათიანი, დ. კიკვაძე, გ. კალანდაძე, ნ. გობრონიძე, თ. ქინქლაძე, ე. წუწუნავა, ბ. თოიძე, დ. თოიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.

მომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ”-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

მომხსენებელმა, მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა აღნიშნა, რომ ანგარიში წარმოდგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად და ვადებში, კომისიის წევრებს მოკლედ მოახსენა მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ძირითად პარამეტრებზე, შემოსავლებსა და ხარჯებზე, ხოლო ვრცელი ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, რომელმაც ისაუბრა შემოსავლებზე, ხარჯებზე, აღნიშნა, რომ როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯვით ნაწილში გეგმა შესრულებულია, ისაუბრა შემოსავლებისა და ხარჯების კონკრეტულ სახეობებზე, სარეზერვო ფონდის ხარჯვაზე. ხაზი გაუსვა, რომ არსებული ტენდენციებით

ბიუჯეტის წლიური გეგმის შესრულებას საფრთხე არ ემუქრება. ანგარიშის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვლმა სხდომას გააცნო კომისიის შესაბამისი სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნა, რომელიც მოიწონეს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს ანგარიშის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენა განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა, სხდომას გააცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, ხაზი გაუსვა პროგრამის განხორციელების მნიშვნელობას მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერისათვის. განაცხადა, რომ გასულ წლს შეფერხდა ამ მიზნით გამოყოფილი თანხების ათვისება დონორი, არასამთავრობო ორგანიზაციების მიზეზით, ამჟამად თანადაფინანსებას მხოლოდ მუნიციპალიტეტი განახორციელებს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს დადგენილების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენა განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

გადაწყვიტეს:

1.დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N1 საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას განსახილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

2.N2 საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას განსახილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი